თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2883609

ნომერი: AR1443590

თარიღი : 26.09.2016

გაცემის თარიღი : 11.10.2016

გაცნობის თარიღი : 12.10.2016

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მაისურაძის ქ. , N1-ის მიმდებარედ ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ზურაბ სეფიაშვილი პ/ნ 01012010586
- თბილისი კუმისის ქ. N 16

ორგანიზაცია:

- დიზელი და ჰიდრავლიკა კოდი: 406024118

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ობიექტები
  - ავტოსერვისი

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1663.0

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის

24 მარტის #57 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი 2016 წლის 26 სექტემბრის #AR1443590 განცხადების პასუხად, რომლითაც ითხოვდით ქ. თბილისში, საკადასტრო გეგმით #01.19.39.033.033 მიწის ნაკვეთზე არსებული შენობა–ნაგებობის სარეკონსტრუქციოდ, ავტოსერვისის ფუნქციით მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების მომზადებას არაერთხელ გეცნობათ, რომ მიწის ნაკვეთი დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილი-რუკის მიხედვით მდებარეობდა ზოგად საცხოვრებელ ზონაში (სზ), რომელიც მოიცავს თბილისის განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში არსებულ/დაგეგმილ საცხოვრებელი გამოყენების ტერიტორიებს. ვინაიდან წარმოდგენილი ტერიტორიისთვის გენერალური გეგმის მიხედვით არ იყო დადგენილი კონკრეტული ქვეზონა ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 გადაწყვეტილების მუხლი 19-ის შესაბამისად უნდა წარმოგედგინათ მიმდებარე ტერიტორიის კვლევა (მათ შორის: გენგეგმა საპროექტო ნაგებობის განთავსების ჩვენებით), რომელსაც თან უნდა დაგერთოთ აღნიშნული მუხლით გათვალისწინებული დოკუმენტაცია და მოგეთხოვათ შესაბამისი კვლევით წარმოდგენილი საცხოვრებელ ზონაში დასაშვები ფუნქციური სახეობები.

გამომდინარე აქედან სამსახური ვერ დააკმაყოფილებდა თქვენს მოთხოვნას ავტოსერვისის განთავსებასთან დაკავშირებით რადგან აღნიშნულ საცხოვრებელ ზონებში ახალი ნორმატივების შესაბამისად მითითებული ობიექტის მშენებლობა დაუშვებელია.

ამასთან დამატებით გეცნობათ, რომ შესაძლებელი იყო მოითხოვოთ ფუნქციური ზონის ცვლილება და შესაბამის ნომენკლატურაში აგეტვირთათ საჭირო დოკუმენტაცია და დასაბუთება, რომელსაც განიხილავდა „ქ. თბილის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭო".

ვინაიდან თქვენ მიერ არ იქნა გათვალისწინებული სამსახურის მოთხოვნა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის შესაბამისად სამსახურმა მიიღო გადაწყვეტილება # AR1443590 (26.09.2016) განცხადების განუხილველად დატოვების თაობაზე.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.